საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

№01-03/227

„7" სექტემბერი 2014 წ.

შპს „ოლიმპი პლიუსის დირექტორს

ბატონ ბადრი სიხარულიძეს

ბატონო ბადრი,

როგორც ცნობილია, ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა, რომლის ცენტრალური სასწავლო კორპუსი განთავსებულია ი. ჭავჭავაძის გამზირის N49-ში. მომიჯნავე ტერიტორიაზე, აღნიშნული სასწავლო კორპუსის წინ მდებარეობს რესტორანი. მიგვაჩნია, რომ ეს გარემოება ერთგვარ უხერხულობას ქმნის და ვფიქრობთ ნაკლებად სასურველია იმ ადგილას ხმაურიანი გასართობი დაწესებულების არსებობა, რომელიც გარკვეულწილად უარყოფითად მოქმედებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე.

ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით თუ აღნიშნულ ადგილზე (ჭავჭავაძის გამზირი N49-ში მიწის ნაკვეთი,საკადასტრო კოდი 01.14.07.008.095, რომელიც შპს „ოლიმპიპლიუსს" ეკუთვნის), რესტორნის ნაცვლად აშენდება საცხოვრებელი მრავალსართულიანი კორპუსი.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი ჯემალ მაგანია

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.ge